

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მანი მუვერს“

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6


ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	15
4. ძირითადი საშუალებები	16
5. მარაგები	17
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
7. ფული და ფულის ექვივალენტები	17
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
9. საგადასახადო ვალდებულება	18
10. ამონაგები	18
11. ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	19
12. სხვა შემოსავალი	19
13. სხვა ხარჯი	19
14. მოგება/ (ზარალი) საკუთსო სხვაობიდან, წმინდა	20
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
16. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები	21
17. ბალანსის შემდგომი მოვლენები	21
18. დამტკიცების თარიღი	21


2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	492 793	382 907	373 965
საინვესტიციო ქონება		0	0	0
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		0	0	0
		492 793	382 907	373 965
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	7	2 503 925	1 727 240	787 381
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	2 012 278	1 791 379	1 893 505
მარაგები	5	24 256	34 628	12 863
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		0	0	0
		4 540 458	3 553 248	2 693 750
მთლიანი აქტივები		5 033 251	3 936 155	3 067 715
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		324 696	385 125	1 465 504
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3 449 854	423 070.2	(227 379)
დივიდენდები		(2 012 000)	(483 500)	(853 000)
გადაფასების რეზერვი		0	0	0
		1 762 549	324 696	385 125
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		0	0	0
ანარიცხები		0	0	0
გადავადებული შემოსავალი		0	0	0
		0	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		0	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	3 165 914	3 555 557	2 602 582
საგადასახადო ვალდებულებები	9	104 788	55 902	80 007
გადასახდელი პროცენტი		0	0	0
გადასახდელი დივიდენდი		0	0	0
		3 270 702	3 611 459	2 682 590
მთლიანი ვალდებულებები		3 270 702	3 611 459	2 682 590
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		5 033 251	3 936 155	3 067 715

დირექტორი




ფინანსური დეპარტამენტის
ხელმძღვანელი




2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ამონაგები	10	5 618 705	1 792 315	1 439 449
თვითღირებულება		0	-	-
		0	-	-
საერთო მოგება		5 618 705	1 792 315	1 439 449
სხვა შემოსავლები	12	84 565	58 731	23 800
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	-1 911 695	-1 395 838	-1 656 267
მიწოდების დანახარჯები	11	-4 302	-3 689	-4 114
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	-139 114	6 100	40 027
სხვა ხარჯები	13	-198 305	-34 549	-70 273
საოპერაციო მოგება		3 449 854	423 070	-227 379
ფინანსური შემოსავალი		-	-	-
ფინანსური ხარჯი		-	-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		-	-	-
მოგება დაბეგვრამდე		3 449 854	423 070	-227 379
მოგების გადასახადი		-	-	-
წმინდა მოგება		3 449 854	423 070	-227 379
სხვა სრული შემოსავალი:				
შემოსულობა მიწისა და შენობების				
გადაფასებიდან, გადასახადების				
გამოვლებით		-	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		3 449 854	423 070	-227 379

დირექტორი


ფინანსური დეპარტამენტის
ხელმძღვანელი




2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მოთხოვნი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	11 200	-	373 925	385 125
წმინდა მოგება	-	-	423 070	423 070
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	423 070	423 070
გაცემული დივიდენდი	-	-	(483 500)	(483 500)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	11 200	-	313 496	324 696
წმინდა მოგება	-	-	3 449 854	3 449 854
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	3 449 854	3 449 854
გაცემული დივიდენდი	-	-	(2 012 000)	(2 012 000)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	11 200	-	1 751 349	1 765 549

დირექტორი




ფინანსური დეპარტამენტის
ხელმძღვანელი




ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)


	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
წმინდა მოგება		3 449 854	423 070	(227 379)
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:		94 550	81 867	106 471
- გადასახადები		-	-	-
- ცვეთა	4	94 550	81 867	106 471
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი		-	-	-
- მარაგების გაუფასურება		-	-	-
- ძირითადი საშუალებების გაუფასურება		-	-	-
- ცვლილება ანარიცხებში		-	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		-	-	-
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		(551 282)	1 009 230	941 902
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	(220 898)	102 126	24 412
- მარაგები	5	10 373	(21 765)	4 225
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	(389 643)	952 975	878 588
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	9	48 886	(24 106)	34 678
- გადავადებული შემოსავალი		-	-	-
- ანარიცხები		-	-	-
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		2 993 122	1 514 168	820 994
- მიღებული პროცენტი		-	-	-
- გადახდილი პროცენტები		-	-	-
- გადახდილი მოგების გადასახადი		-	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2 993 122	1 514 168	820 994
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
- ძირითადი საშუალებების შეძენა	4	(204 437)	(90 809)	(24 051)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები		-	-	-
- ბიოლოგიური აქტივების შეძენა		-	-	-
- საინვესტიციო ქონების შეძენა		-	-	-
- მიღებული დივიდენდები		-	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(204 437)	(90 809)	(24 051)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		-	-	-
- სასესხო ვალდებულების ზრდა		-	-	-
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა		-	-	-
- გადახდილი დივიდენდები		(2 012 000)	(483 500)	(853 000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(2 012 000)	(483 500)	(853 000)

ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	776 685	939 858	(56 057)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	1 727 240	787 381	843 438
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	-	-	-
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	2 503 925	1 727 240	787 381

დირექტორი




ფინანსური დეპარტამენტის
ხელმძღვანელი



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მანი მუვერს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 200274318) წარმოადგენს 2009 წლის 23 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომლის ძირითადი საქმიანობაა ფინანსური მომსახურება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

100% წილის მფლობელი და მმართველია:

შპს მმ ინვესტი, 404409216

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია:

დირექტორი - კახაბერ საკანელაშვილი, 01001016470.

მარეგისტრირებელი ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული და ფაქტიური მისამართია: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 172 გ

2013 წლის 14 იანვარს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შპს „მანი მუვერს“ დაარეგისტრირა, როგორც საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (რეესტრაციის №0008-9004), რის შემდეგაც მას საშუალება მიეცა გამოეშვა ელექტრონული ფული და განახორციელოს ელექტრონულ ფულთან და ელექტრონულ გადახდებთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ოპერაცია.

კომპანია ასევე რეგისტრირებულია ფინანსური მონიტორინგის სამსახურში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება-დამტკიცებაზე პასუხისმგებლობა

შპს მანი მუვერსის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მოამზადოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგება ისე, რომ ის სამართლიანად ასახავდეს მის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე საქმიანობის შედეგს, ფულადი სახსრების მოძრაობას და ცვლილებებს კაპიტალში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ✓ შეარჩიოს კომპანიისთვის შესაბამისი პოლიტიკა და იხელმძღვანელოს ამ პრინციპებით;
- ✓ შეარჩიოს და გამოიყენოს ეფექტური შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ✓ აწარმოოს ზუსტი და დროული ბუღალტრული ჩანაწერები, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადდეს სამართლიანად, დროულად.
- ✓ ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის აქტივების დაცულობას, თაღლითობის, შეცდომების და სხვა დარღვევების გამოვლენას და თავიდან აცილებას;
- ✓ კომპანიისთვის სასარგებლო და წინდახედული გადაწყვეტილებების მიღება;
- ✓ აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონალური საწარმოს პრინციპების შესაბამისად.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. დარიცხვის მეთოდის თანახმად, სააღრიცხვო ერთეული აქტივად, ვალდებულებად, საკუთარ კაპიტალად, შემოსავლად ან ხარჯად აღიარდება იმ მომენტში, როდესაც იგი დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება ხდება პირვანდელი ღირებულებით.

- აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას;

- ვალდებულება საწარმოს მიმდინარე პერიოდის ვალდებულებაა, რომელიც წარმოიშვა წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს საწარმოდან რესურსების გასვლას, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი;

- საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

2.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022, 2021 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	აშშ დოლარი	ევრო	რუსული რუბლი
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844	0.03677
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040	0.041479

2.3 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის კლებადი ნაშთის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის გარდა შენობა-ნაგებობებისა, რომელიც აღირიცხება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება ცვეთის განსაზღვრული წლიური ოდენობით, შემდეგნაირად:

ჯგუფი

შენობა-ნაგებობები	5%
საოფისე აღჭურვილობა	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
მანქანა-დანადგარები	20%

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.4 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის კლებადი ნაშთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება ცვეთის წლიური 20%-ით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამებს და კომპიუტერული პროგრამის ლიცენზიებს.

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალლო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალლო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

მოთხოვნები

კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც განცალკევებულად ასახავს დაკავშირებული მხარეებისა და სხვა მხარეებისგან მისაღებ თანხებს და ასევე ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც

წარმოიქმნება დარიცხული შემოსავლებიდან, რომლისთვისაც საწარმოს ჯერ არ წარუდგენია გადახდის ანგარიშები.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელი სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს. საწარმოს გააჩნია მხოლოდ მოკლევადიანი ვალდებულებები.

2.6 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრების ნაშთების გადაფასება ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი ოფიციალური კურსის შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

2.8 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი მეთოდით.

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის საქმიანობას არ წარმოადგენს ვაჭრობა, ანგარიშგებაში მოცემული მარაგები სამომავლოდ განკუთვნილია სარეკლამო და ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

2.9 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

მომსახურების გაწევა

კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

2.10 დანახარჯები

ხარჯის აღიარება ხდება მისი გაწევისთანავე.

2.11 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

2.12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტებია აღირიცხება მიღებული შემოსავლით. აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

2.13 დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

2.14 პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, საპენსიო შენატანები, სადაზღვეო სისტემაში შენატანები, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი. კომპანიას სჯერა, რომ ყველა აუდირებული პერიოდისთვის მის მიერ დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები ეფუძნება მრავალ ფაქტორს, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და საგადასახადო კანონმდებლობას. ეს განსაზღვრება ეფუძნება შეფასებებსა და დაშვებებს, და შეიძლება მოიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალი მოვლენების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო საგადასახადო შედეგი განსხვავებული იქნება დარიცხული თანხებისგან, სხვაობები გავლენას მოახდენს იმ პერიოდის ანგარიშგებაზე, რა პერიოდშიც ეს გახდება ცნობილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტისგან გადაწყვეტილებების მიღებას, შეფასებების და ვარაუდების შემუშავებას, რასაც გავლენა აქვს ანგარიშში მოყვანილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ოდენობაზე და თანხმობაზე გამოვლინებებზე და სადავო ვალდებულებების გამოვლინებაზე.

გაურკვევლობამ ამ ვარაუდებსა და შეფასებებთან დაკავშირებით შესაძლოა მიგვიყვანოს შედეგებამდე, რაც საჭიროებს აქტივების და პასივების საბალანსო მაჩვენებლების არსებით რეგულირებას, რომლებიც შეიცვლება სამომავლო პერიოდში.

4. ძირითადი საშუალებები
ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოქმედების ნაკვეთები	შენიშვნები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივი	სულ
31 დეკემბერი 2021	-	-	120 904	525 615	63 304	190 506	55 183	955 512
შემოსვლა	-	-	54 793	107 790	875	-	40 978	204 437
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	-	175 697	633 405	64 179	190 506	96 162	1 159 949
ცვლილება	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	-	(104 333)	(281 060)	(43 203)	(111 479)	(32 531)	(572 605)
* პერიოდის ცვლილება	-	-	(4 455)	(58 503)	(4 131)	(15 805)	(11 655)	(94 550)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	-	(108 789)	(339 563)	(47 334)	(127 284)	(44 185)	(667 155)
წმინდა საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	-	16 571	244 555	20 101	79 027	22 653	382 907
31 დეკემბერი 2022	-	-	66 909	293 842	16 845	63 221	51 977	492 793

5. მარაგები

	2022 წელი	2021 წელი
საწვავი, ბენზინი/დიზელი	22	22
სარეკლამო საქონელი	11 712	11 712
პლასტიკური ბარათები	12 521	22 894
სხვა მატერიალური მარაგები	-	-
სულ	24 256	34 628

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის საქმიანობას არ წარმოადგენს ვაჭრობა, ანგარიშგებაში მოცემული მარაგები სამომავლოდ განკუთვნილი არ არის სარეალიზაციოდ.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2022 წელი	2021 წელი
მოკლევადიანი მოთხოვნები	1 848 446	1 535 289
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	111 305	251 939
საგადასახადო აქტივი	52 526	4 151
სულ	2 012 278	1 791 379

შპს მანი მუვერსის მოთხოვნების ვადა ყოველთვის ნაკლებია 1 წელზე. ჩვენი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაფარვა ხდება ყოველდღიურად.

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	2022 წელი	2021 წელი
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	1 575 248	1 553 913
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში (ექვივალენტით ლარში)	928 676	173 327
სულ	2 503 925	1 727 240

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022 წელი	2021 წელი
მოკლევადიანი ვალდებულებები	1 158 402	436 151
სხვა საერთო ვალდებულებები	139 102	142 191
მიღებული ავანსები	1 868 410	2 977 214
სულ	3 165 914	3 555 557

შპს მანი მუვერსის ვალდებულებების ვადა ყოველთვის ნაკლებია 1 წელზე. ჩვენი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაფარვა ხდება ყოველდღიურად.

9. საგადასახადო ვალდებულება

	2022 წელი	2021 წელი
გადასახდელი მოგების გადასახადი - ესტონური მოდელით	56 954	47 042
გადასახდელი დღგ გადასახადი -საბაჟოზე	188	-
საშემოსავლო გადასახადები	40 384	23 301
დღგ	176	371
ქონების გადასახადი	4 378	3 784
გადასახადების ერთიანი კოდი	-	(22 367)
საპენსიო პროგრამის ერთიანი ანგარიში	2 708	3 770
სულ	104 788	55 902

საქართველოს საგადასახადო კოდექსში დაბეგვრის ესტონურ მოდელზე გადასვლის გამო წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულების დასაბეგრ ბაზას წარმოადგენს, როგორც გაცემული დივიდენდები ასევე ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებული კომპანიებისთვის გადარიცხული ავანსები;

საშემოსავლო გადასახადის დასაბეგრი ბაზა მოიცავს: ხელფასებს, დივიდენდს, მომსახურების ანაზღაურებას ფიზიკური პირებზე, სსკ-ის 134-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრული თანხები;

შპს „მანი მუვერს“-ის პირად სააღრიცხვო ბარათზე არსებული ვალდებულების ნაშთი (ამ შემთხვევაში ავანსი) საქართველოს შემოსავლების სამსახურში.

10. ამონაგები

	2022 წელი	2021 წელი
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები	13 703 289	5 146 610
გამოქვითვები საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან	8 084 584	3 354 295
ნეტო შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	5 618 705	1 792 315

11. ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი

	2022 წელი	2021 წელი
სარეკლამო ხარჯი	4 302	3 689
შრომის ანაზღაურება	1 340 184	940 417
პერსონალის დაზღვევის დანახარი	27 038	30 326
საიჯარო ქირა	73 018	79 235
კომუნიკაციის ხარჯი	116 583	66 354
კომპიუტერული ხარჯი	15 805	16 542
კომუნალური ხარჯი/გაზი, ელ. ენერგია, წყალი, დასუფთავება/	1 098	1 172
მივლინების ხარჯი	3 801	678
საფოსტო ხარჯი	7 217	5 552
ავტომობილის დაზღვევა საწვავის და სარემონტო ხარჯი	16 695	13 761
საოფისე ხარჯი	10 576	18 125
საკანცელარიო დანახარჯი	2 768	1 474
საკონსულტაციო დანახარჯი	8 213	7 015
დაცვის მომსახურების ხარჯი	2 556	2 595
წარმომადგენლობითი ხარჯი	7 998	7 221
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ხარჯი	-	-
ბანკის საკომისიო	63 410	37 729
დომენი	2 354	2 202
ცვეთა/ამორტიზაცია - გაყიდული/ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების თვითღირებულება	94 550	81 867
სხვა საერთო ხარჯი	65 374	28 940
ოფისის სარემონტო ხარჯი	-	-
სისტემის ადმინისტრირების ხარჯი	52 456	54 634
სულ	1 915 998	1 399 526

12. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	35 195	24 429
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	49 370	16 773
სულ	84 565	41 202

13. სხვა ხარჯი

სხვა ხარჯი	2022	2021
არასაოპერაციო ხარჯი	187 534	33 011
საქველმოქმედო ხარჯი	10 771	1 538
სულ	198 305	34 549

14. მოგება/ (ზარალი) საკუროს სხვაობიდან, წმინდა

ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან 2022, 2022 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022 წელი	2021 წელი
საკუროს სხვაობით მიღებული მოგება	1 250 520	377 927
საკუროს სხვაობით მიღებული (ზარალი)	(1 389 633)	(371 827)
სულ	(139 114)	6 100

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციებში იგულისხმება პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამჟამად ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშგებულ საწარმო)

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ საწარმოებთან. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის, გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადგენა არადაკავშირებულ მხარეებთან.

შპს მანი მუვერსის დამფუძნებელი შპს მმ ინვესტი ასევე წარმოდგენს სხვა კომპანიების მეწილეს, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ქონდათ ოპერაციები შპს მანი მუვერსთან, ესენია: შპს მეიქედი, შპს აერო სერვისი, შპს რეკაბ სფეისი და შპს მმ კაპიტალი.

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით განსაზღვრულ დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2022 წელს განხორციელებული ტრანზაქციები მოცემულია ქვევით:

საქონლის/მომსახურების მიწოდება:

საქონლის/მომსახურების მიწოდება განხორციელდა - 14202 ლარის ოდენობით

საქონლის/მომსახურების შეძენა:

საქონლის/მომსახურების შეძენა განხორციელდა - 72114 ლარის ოდენობით, საიდანაც, საიჯარო ხარჯი შეადგენს - 67206 ლარს, ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები - 3084 ლარს, სხვა საერთო ხარჯები - 1824

დაუფარავი ნაშთები:

მოთხოვნები - 318 ლარი;

ვალდებულებები - 1075 ლარი.

16. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულება არსებობს.


17. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების დამტკიცების შემდეგ, ბალანსის შემდგომი მოვლენები გავლენას არ ახდენს კომპანიის 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

18. დამტკიცების თარიღი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღია 2023 წლის 14 მარტი.

დირექტორი



ფინანსური დეპარტამენტის
ხელმძღვანელი